

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი(თანამდებობის პირი) – ნინო კოჭლამაზაშვილი  
თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი  
ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება -მრეწველები“  
კომისიის დასახელება - კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია.

არჩევის წესი - მაჟორიტარული (სიღნაღი, სოფ. საქობო)

საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 ნოემბრიდან 2019 წლის 29 ოქტომბრამდე  
ანგარიშის ტიპი(რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 18

\*საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 17

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 8

\*კომისიის სხდომებზე დასწრება - 2

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 3

\*ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები -

ინიცირებულ საკითხებზე გამოიცა სამართლებრივი აქტები -

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

საკრებულოს სხდომებზე გამოტანილი, ჩემ მიერ მხარდაჭერილი ყველა საკითხი, რომლის განხილვაშიც მივიღე მონაწილეობა, იყო მნიშვნელოვანი.

---

6. საკრებულოს წევრის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული პროექტები:

ა) სოფ. მაშნარში ნაძვნარის ტერიტორიაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები;

ბ) სოფ. საქობოში სკვერის, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

გ) სოფ. საქობოში საექიმო ამბულატორიის შენობა-ნაგებობის სრული რეაბილიტაცია;

- დ) სოფ.საქობოში საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და შიდა სველი წერტილების სრული რეაბილიტაცია;
- ე) სოფ.საქობოში სტიქიისაგან დაზიანებული გზების - სოფლის შიდა და ვენახებთან მისასვლელი გზების გასუფთავება-აღდგენა, ნაწილობრივი მოხრეშვა;
- ვ) სოფ.საქობოში მოეწყო დამატებით ორი წყლის ჭაბურღილი.

---

---

7. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -
8. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 18 და თითოეულ შეხვედრაზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა 40-50.
9. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები  
დასაქმებასთან დაკავშირებული, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხები.

---

---

10. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები  
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

---

---

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა  
რეკომენდაცია გაეწია მოქალაქეებს ფინანსური დახმარების მისაღებად.

---

---

შევსების თარიღი: 29.10.2019 წელი

წარდგენის თარიღი: 29.10.2019 წელი

ხელმოწერა: 6. საქართველო


სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნინო კოჭლამაზაშვილის  
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის მაჟორიტარი წევრი, ასევე საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიისა და ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ წევრი.

2018 წლის ნოემბრიდან დღემდე აქტიურად ვესწრებოდი საკრებულოს სხდომებს და ყოველთვის ვაფიქსირებდი ჩემს შეხედულებებსა და შენიშვნებს.

საანგარიშო პერიოდში სოფელ საქობოს მოსახლეობასთან შეხვედრის დღეებში განვიხილავდი სოფელში არსებულ პრობლემებს, მათთან ერთად ვსახავდი პრიორიტეტებს. ვეხმარებოდი გაჭირვებულ ადამიანებს სოციალური დახმარებით შესაბამისი პროგრამის ფარგლებში. სოფელის მოუგვარებელ პრობლემებს ვაცნობდი მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს. ამ ხნის განმავლობაში სოფელ საქობოში მოეწყო დამატებით 2 ჭაბურღილი; მოხდა საჯარო სკოლის სპორტული დარბაზისა და სველი წერტილების, ასევე საექიმო ამბულატორიის შენობა - ნაგებობის სრული რეაბილიტაცია. სოფელ საქობოსა და სოფელ მაშნაარში მოეწყო სკვერები. მოხდა სტიქიით დაზიანებული გზების; სოფლის შიდა და ვენახებთნ მისასვლელი გზების გასუფთავება - აღდგენა და ნაწილობრივ მოხრეშვა.

ვფიქრობ, რომ მომავალში უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც სოფელ საქობოს მაჟორიტარის საქმიანობა.

საკრებულოს წევრი: 

ნინო კოჭლამაზაშვილი